

განმარტებითი ბარათი

“სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში ახალი სასტუმროების აშენებას ან დაუმთავრებელი სასტუმროების მშენებლობის დამთავრებას და მათ ამოქმედებას, რადგან სამორინეს მოწყობაზე მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება დადგენილი იქნება მხოლოდ ამ სასტუმროს ტერიტორიაზე არსებული სამორინეებისათვის. აღნიშნული თავის მხრივ ხელს შეუწყობს, როგორც ტურისტული ბიზნესის განვითარებას, ასევე ანაკლიაში ინფრასტრუქტურის განვითარებას (რადგან მოხდება ახალი მშენებლობები ან არსებულ შენობათა შეკეთება).

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის კანონის მე-7 მუხლის 10² პუნქტში, რომელიც აზუსტებს, რომ სანებართვო მოსაკრებელს 10 წლის განმავლობაში არ გადაიხდის ის პირი, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში სამორინეს მოაწყობს ახლადაშენებულ სასტუმროს (რომელშიც იქნება სულ მცირე 100 ნომერი) ტერიტორიაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გაზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, თუმცა, იქიდან გამომდინარე თუ რამდენი სასტუმრო აშენდება ანაკლიაში, რომელშიც იფუნქციონირებს სამორინე, რომლის ფუნქციონირება თავის მხრივ გულისხმობს სხვა გადასახადების გადახდის ვალდებულებას (გარდა სანებართვო მოსაკრებლისა, რომლის გადახდაც 10 წელი არ მოხდება), წინასწარ განსაზღვრა ბიუჯეტის შემოსულობის ოდენობისა შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით სამორინეს მომწოდებთათვის ხარჯები გაიზრდება სასტუმროსთან დაკავშირებული ხარჯების პროპორციულად.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით მოსაკრებლის ოდენობა არ იცვლება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.